92	სტაციონარული სამედიცინო მომსახურეობის დასაფინანსებლად	06 02 01	08.08.2022	16.16222201	9976.00	7159.00

93	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	08.08.2022	16.16222201	10633.00	10630.00
94	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	10.08.2022	16.16222224	11699.00	11549.00
95	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	10.08.2022	16.16222224	4048.00	4047.00
96	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	19.08.2022	16.16222312	20408.00	19113.00
97	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	19.08.2022	16.16222312	8877.00	8877.00
98	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	25.08.2022	16.16222378	9169.00	8317.00
99	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	25.08.2022	16.16222378	7216.00	7200.00
100	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები	02 09	23.08.2022	16.162223518	30000.00	30000.00
101	ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები	05 02 02	02.09.2022	16.16222454	2970.00	2970.00
102	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	05.09.2022	16.16222483	4144.00	3443.00
103	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	05.09.2022	16.16222483	4419.00	4419.00
104	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები	02 09	05.09.2022	16.16222484	10000.00	5588.00

105	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	06.09.2022	16.162224817	7092.00	7092.00
106	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	06.09.2022	16.162224817	3815.00	3815.00
107	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	12.09.2022	16.16222551	11334.00	11334.00
108	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	12.09.2022	16.16222551	809.00	809.00
109	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 01	12.09.2022	16.162225511	3040.00	3040.00
110	ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება)	05 02 06	16.09.2022	16.16222592	3000.00	3000.00
111	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	16.09.2022	16.16222594	7000.00	6997.40
112	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 01	16.09.2022	16.16222595	1737.00	1737.00
113	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	21.09.2022	16.162226415	2753.00	2753.00
114	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	21.09.2022	16.162226415	5499.00	5415.00
115	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	29.09.2022	16.16222713	11510.00	6295.00
116	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	29.09.2022	16.16222713	5276.00	4820.00

117	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	11.10.2022	16.16222844	12801.00	12528.00
118	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	11.10.2022	16.16222844	9799.00	9787.00
119	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	20.10.2022	16. 16222932	3744.00	3744.00
120	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	20.10.2022	16. 16222932	1368.00	1368.00
121	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	02.11.2022	16. 16223063	20531.00	17060.00
122	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	02.11.2022	16. 16223063	10866.00	10866.00
123	სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარები	06 02 07	09.11.2022	16223133	32890.00	32890.00
124	ერთჯერადი მატერიალური დახმარება	06 02 12	02.11.2022	16. 1622306001	10000.00	10000.00
125	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	15.11.2022	16. 16223192	750.00	750.00
126	სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად	06 02 01	28.12.2022	16. 16223624	36046.00	
127	მედიკამენტებით უზრუნველყოფის დასაფინანსებლად	06 02 11	28.12.2022	16. 16223624	10217.00	4927.00
	სულ ხარჯი:				845340.00	757253.00
	ნაშთი:					4660.00

პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (კოდი 01 00)

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01 01)

საკასო ხარჯმა შეადგინა **1 092.1** ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა **1 115.0** ათასს ლარს. შესრულების პროცენტი **98.0%**. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა - **851.7** ათასი ლარი. საქონელსა და მომსახურეობაზე - **91.2** ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე **9.4** ათასი ლარი, სხვა ხარჯზე **127.4** ათასი ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია (პროგრამული კოდი 01 01 02)

საკასო ხარჯმა შეადგინა **3 145.1** ათასი ლარი, გეგმა **3 618.3** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **86.3%**. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა - **1 854.8** ათასი ლარი. საქონელსა და მომსახურეობაზე - **1 008.9** ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე **29.8** ათასი ლარი, სხვა ხარჯზე **102.0** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - **149.7** ათასი ლარი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (პროგრამული კოდი 01 01 03)

საკასო ხარჯმა შეადგინა **120.2** ათასი ლარი, გეგმა **121.2** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **86.3%**. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა - **89.6** ათასი ლარი. საქონელსა და მომსახურეობაზე - **30.6** ათასი ლარი.

შესყიდვებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი (პროგრამული კოდი 01 02 04)

საკასო ხარჯმა შეადგინა **8.6** ათასი ლარი, გეგმა **15.0** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი - **57.3 %**

მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 01 02 06)

საკასო ხარჯმა შეადგინა **83.1** ათასი ლარი, გეგმა **83.1** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **100.0%**. პროცენტის დაფარვაზე მიიმართა - **27.5** ათასი ლარი, ვალდებულებების დაფარვაზე - **55.6** ათასი ლარი.

სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტო (პროგრამული კოდი 01 03)

საკასო ხარჯმა შეადგინა **2 025.7** ათასი ლარი, გეგმა **2 186.8** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **92.6%**. სუბსიდიაზე მიიმართა **1 770.0** ათასი ლარი, სხვა ხარჯზე **0.1** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - **255.6** ათასი ლარი.

პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 00)

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

გზების, ქუჩების, ტროტუარების, გარე-ვიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის შემზღვეველი რადარებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა. (პროგრამული კოდი 02 01 01 -02 01 05)

- პროგრამის განმახორციელებელი:
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **5 282.5** ათასი ლარი, საკასო შესრულება **4 603.3** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **87.2%**

- პროგრამის აღწერა:

საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა, „პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების , ქუჩებისა და ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია , კაპიტალური მშენებლობა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა. გარე-ვიდეო სამეთვალყურეო სათვალთვალო კამერების შესყიდვა და მოვლა-პატრონობა.

- მიღწეული შედეგი:

შენარჩუნებულია გზების, ქუჩების ინფრასტრუქტურა ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში

გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 01 01) საკასო ხარჯმა შეადგინა - **3 235.0** ათასი ლარი, შესრულება **87.7%**. (გეგმა **3 689.8** ათასი ლარი) აღწერილი ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ქ.ბორჯომში, 9 აპრილის ქუჩა №12-18-ის მიმდებარე ჩიხის, ქეთევან წამებულის ქუჩის ჩიხის, სოფელ ბემეთში საავტომობილო გზის (I ეტაპი), სოფ. ყვიბისში შიდა საუბნო გზის დარბაიძეები-შუბითიძეების უბნის და სოფ. ყვიბისში ხაჩიძეები-ციციშვილების უბნის ჩიხის რეაბილიტაცია, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. სადგერში შიდა საუბნო გზის, სოფ.ცემში, სოფ.ვარდგინეთში და სოფ. ტბაზე შიდა საუბნო ჩიხების (I და II მონაკვეთები) რეაბილიტაცია; დაბა ბაკურიანში წერეთლის ქუჩის მონაკვეთის (დიდველის გზამდე), ქუმარიტაშვილის ქუჩისა და ჩიხის ,

სასაფლაოსთან მისასვლელი გზის და წაქაძის ქუჩის ჩიხის (I და II მონაკვეთები) რეაბილიტაცია. ასევე სოფ. საკირეში შიდა საუბნო გზის, სოფ. მოლითის მისასვლელი გზის და სოფ. დგვარში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც დაიწო 2022 წელს და დასრულდება 2023 წელს. აღნიშნული გზების რეაბილიტაციის შედეგად ჯამში მოხდა 9,7 კმ მონაკვეთის მოწესრიგება.

ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02) საკასო ხარჯმა შეადგინა 251.7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 96.3% (გეგმა 261.5) ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბორჯომში 300 არაგველის ქუჩაზე გზის გამყოლი მოაჯირის, რუსთაველის ქ#109-ის მიმდებარედ კედლის, აღმაშენებლის ქუჩაზე მიმდინარეობს გზის გამყოლი მოაჯირის მოწყობა და ქ.ბორჯომში მისამართების აღმნიშვნელი აბრების შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი).

გარე ვიდეო სამეთვალყურეო,სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და სიჩქარის რადარების შეძენა-დამონტაჟება (02 01 04) გეგმა 162.4 ათასი ლარი, საკასო ხარჯი 159.7 ათასი ლარი, შესრულება 98,3%. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა არსებული ვიდეო კამერების მოვლა პატრონობა და კამერების შეძენა/ მონტაჟი ქ.ბორჯომში არსებულ სკვერებისა და ცენტრალურ ისტორიულ პარკში, ასევე დაემატა სიჩქარის შემზღუდველი კამერები ქალაქის ტერიტორიაზე. .

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობა (02 01 05) საკასო ხარჯმა შეადგინა 956.8 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 82.0% (გეგმა 1 166.8) ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გატარდა ინფრასტრუქტურის რეგულარული და სისტემური მოვლა-პატრონობა, საგზაო ინფრასტრუქტურის ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნება. არსებული მოაჯირების, სახიდე გადასასვლელების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება, მათი მოვლა პატრონობა, ზამთრის პერიოდში განხორციელდა გზების, ხიდების, ფეხით სავალი ნაწილის გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან.

წყლის სისტემისა და საკანალიზაციო ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

- პროგრამის განმახორციელებელი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 891.9 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა 868.3 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 97.4%.

- პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემის და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია:

- მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესდა მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მიწოდება და საკანალიზაციო ქსელის სისტემის მოწყობილობა.

წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (კოდი 02 02 01) საკასო ხარჯი 279.6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 93.6% (გეგმა 298.9) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.საკირის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, ქ.ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, ქ. ბორჯომში, მესხეთის ქ. #5-ის მიმდებარედ კანალიზაციის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ა(ა)იპ -ბორჯომის სოფლის წყალი (02 02 02) საკასო ხარჯი 588.7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 99.3% (გეგმა 593.0) ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში წყალსადენის ექსპლუატაცია, სათავე-ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და გაწმენდითი სამუშაოები. რიგ სოფლებში: ჭობისხევი,ყვიბისი, ტიმოთესუბანი, ბეშეთში და მზეთამზეში შეიცვალა დაზიანებული წყლის მილები.

გარე-განათება (პროგრამული კოდი 02 03)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 733.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა 1 518.9 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 87.6%.

- **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა: გარე განათების წერტების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა ; დასახლებული პუნქტების განათების სამუშაოები და ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა.

- **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართულად ფუნქციონირება და გარე განათების ქსელის გაფართოება.

გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი 02 03 01) საკასო ხარჯი 1006.6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 83.3% (გეგმა 1 208.9) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის ელექტრო ენერჯის ხარჯის

ანაზღაურება და დასრულდა ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის გამყოლი სკვერიდან საჰაერო მონაკვეთის გადატანა საკაბელო ხაზში საყრდენებს შორის.

ა(ა)იპ -ბორჯომის გარე განათება (02 03 02) საკასო ხარჯი **512.3** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **97.6%** (გეგმა **524.7**) ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია, მოვლა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოების განხორციელება.

მშენებლობა. ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **4 726.1** ათასი ლარი, საკასო ხარჯმა **4 013.4** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **84.9%**.

- **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული პროგრამით განხორციელდა ქალაქის იერსახის შეცვლა, მოწესრიგებული და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა, პროგრამის ფარგლებში მოხდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია, ქ.ბორჯომში ცენტრალურ ქუჩაზე არსებული შენობების ფასედების რეაბილიტაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხნაგობის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, საყრდენი კედლებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.

- **მიღწეული შედეგები:**

ქ.ბორჯომში განხორციელდა ცენტრალურ ქუჩებზე მრავალსართულიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხნაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა. ასევე განხორციელდა საყრდენი კედლებისა და ნაპირსამაგრი რკინა ბეტონის კედლის მოწყობა.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია და ცენტრალურ ქუჩებზე ფასადების რეაბილიტაცია (კოდი 02 04 01) საკასო ხარჯი **2 672.7** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **96.6%** (გეგმა **2 766.5**) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩა #115-ში და ქ.#109-ში შენობის ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია; ქ.ბორჯომში თორის ქ#120-ში

და რუსთაველის 69-ში ლიფტების რეაბილიტაცია, მესხეთის ქ#35 და #61 ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების და ეზოში არსებული ღობის რეაბილიტაცია, აღმაშენებლის ქ#35 ში არსებული კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაწყურში რიტუალების სახლის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 02 04 02) საკასო ხარჯი **144.2** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **23.9%** (გეგმა **603.1**) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქ. ბორჯომში გამსახურდიას ქ#2-ში, რუსთაველის ქ. I შესახვევის #5 და თორის ქუჩა #58 და #60- ში საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (კოდი 02 04 03) საკასო ხარჯი **1 196.5** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **88.2%** (გეგმა **1 356.4**) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში რიტუალების სახლის მიმდებარედ გზაზე საყრდენი კედლის, სოფელ დვირში გზის დამცავი კედლის, სოფ.ტიმოთესუბანში ღელის ნაპირსამაგრი რკინაბეტონის კედლის მოწყობა (ორი ეტაპი);სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია ქ. ბორჯომში თორის ქუჩა #36 - 40- ის მიმდებარედ რკინა- ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობაზე რომელიც დასრულდება 2023 წელს.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **1 523.6** ათასი ლარი, საკასო ხარჯმა **1 179.6** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **77.4%**.

- **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული პროგრამით განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის კომფორტული მოსასვენებელი ზონის შექმნა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, გამწვანება, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია მოვლ-პატრონობა, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

- **მიღწეული შედეგები:**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა ქალაქის გამწვანება, სკვერების, სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სასაფლაოს მოვლა პატრონობა.

სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია (კოდი 02 05 01) საკასო ხარჯი 149.4 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 66.4% (გეგმა 225.0) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გამყოლი სანიაღვრეებისა და სანიაღვრე ჭების მოვლა- პატრონობა, დაბა ბაკურიანში წაქაძის ქუჩის ჩიხში (სახლი ტყეში) არსებული სანიაღვრე არხის ცხაურის მოწყობა.

ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა (კოდი 02 05 02) საკასო ხარჯი 678.7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 71.7% (გეგმა 946.4) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე სანაპირო სკვერის მოწყობა (გარდამავალი), ა.შანიძის ქ. #24-ის მიმდებარედ მოსასვენებელი სივრცის მოწყობა, რუსთაველის ქ. #51-დან ქ. #53-ის მიმდებარედ და სოფ.ტიმოთესუბანში სკვერის მოწყობის სამუშაოები, განხორციელდა საინფორმაციო აბრეშის შესყიდვა და სკვერებში განთავსება.

ა(ა)იპ ბორჯომის გამწვანება 2012 (კოდი 02 05 03) საკასო ხარჯი 256.9 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 99.7% (გეგმა 257.6) აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა: სეზონური და მრავალწლიანი მცენარეებით ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიის გამწვანება, ჩატარებული იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები მწვანე საფარის გაცეღვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, გადამხმარი და დაზიანებული ხე მცენარეების ამოძირკვა და გატანა, სასუქის შეტანა, ხე-მცენარეების გადაბეღვა, მწვანე ნარგავების მოწყობა, ტერიტორიის ჰერბიციდებით დამუშავება, ხე-მცენარეების ირგვლივ შემობარვა გათოხნა-გაფხვიერება, სეზონური მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა და ამოღება, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა-გამოხილვა, მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით.

ა(ა)იპ ბორჯომის სასაფლაო (კოდი 02 05 05) საკასო ხარჯი 94,6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 99.9% (გეგმა 94.7) აღნიშნული ქვეპროგრამით ხორციელდებოდა საფლავებამდე მისასვლელი შიდა გზების და ბილიკების გაწმენდა, ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭა.ასევე სისტემატიურად გროვდებოდა საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნაგავი და მისი ტერიტორიიდან გატანის დროული ორგანიზება.

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 06)

- პროგრამის განმახორციელებელი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 633.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა 1 631.8 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 99.9%.

- პროგრამის აღწერა:

აღნიშნული პროგრამით განხორციელდა მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებით ორგანიზება შეუფერხებლად, შიდასაქალაქო, საგარეუბნო და სარაიონთაშორისო მარშრუტებზე; ტარიფების შენარჩუნება; მოსწავლეთა გადაყვანა დროულად და უსაფრთხოდ სასწავლო დაწესებულებებში; ტექნიკურად გამართული ტრანსპორტის უზრუნველყოფა; სპეც-ტექნიკით (ტრაქტორები) ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესრულება.

- მიღწეული შედეგები:

პროგრამის ფარგლებში მოხდა სუბსიდირება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირებისათვის, უზრუნველყოფილია მგზავრთა გადაადგილება დროულად და უსაფრთხოდ, ჩატარებულია ყველა ავტობუსზე ტექდათვალიერება. შენარჩუნებულია ტარიფები.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 07)

- პროგრამის განმახორციელებელი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **740.2** ათასი ლარი, საკასო ხარჯმა **443.4** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **59,9%**.

- პროგრამის აღწერა:

აღნიშნული პროგრამით მოხდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების დაფინანსება და განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტების და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

- მიღწეული შედეგები:

ხარისხიანად შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

განახლებული რეგიონების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 08)

- პროგრამის განმახორციელებელი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 927.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა 1 831.2 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 95.0%.

- **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო პროგრამით განხორციელდა „განახლებული რეგიონების“ ის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ხელსაყრელი და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა, ტურისტულად მიმზიდველი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბორჯომში კოსტავას სახელობის სკვერის და მოედნის რეაბილიტაცია.

- **მიღწეული შედეგები:**

ტურისტებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნილია კეთილმოწყობილი და რეაბირტირებული კოსტავას სახელობის სკვერი.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 09)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 220.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა 807.9 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 66.2%.

- **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგან მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები. კერძოდ ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩაზე გზის დამჭერი კედლის რეაბილიტაცია და მესხეთის # 31-ში ბუნებრივი არისი აფეთქების შედეგად დაზიანებული კორპუსის ფასადის და ლიფტის რეაბილიტაცია.

- **მიღწეული შედეგები:**

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 010)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **833.0** ათასი ლარი, საკასო ხარჯმა **754.8** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **90.6%**.

- **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალ-ეკონომიკური პროექტები. კერძოდ: სკვერების რეაბილიტაცია განხორციელდა 8 სოფელში; სასმელი წყლის რეაბილიტაცია 4 სოფელში; საგზაო ინფრასტრუქტურა და ფეხით სავალი ნაწილი მოწესრიგდა 11 სოფელში; მოეწყო საყრდენი კედლები 2 სოფელში; ხიდების რეაბილიტაცია -2 სოფელში; გარე განათების ქსელი მოეწყო -4 სოფელში; სანიაღვრე ქსელი და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა 2 სოფელში; ამბულატორიის რეაბილიტაცია 1 სოფელი; სასაფლაოს შემოღობვა -1 სოფელი. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარმართა სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკური საჭიროებათა დასაფინანსებლად.

- **მიღწეული შედეგები:**

მოხდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის.

პრიორიტეტი: დასუფთავება გარემოს დაცვა (კოდი 03 00)

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **1 855.1** ათასი ლარი, საკასო შესრულება **1 854.5** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **99.97%**

- **პროგრამის აღწერა:**

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, სკვერების, ტროტუარების

სავალი ნაწილების დაგვა-დასუფთავება და საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდა და მორეცხვა. ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან, დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვა და კირით შეწამვლა. ფანტანების და სკვერების მოვლა-პატრონობა. დაზიანებული ნაგვის ურნების შეკეთება. მრავალსართულიან კორპუსებში სანაგვე ბუნკერის, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექციის და დეზინფექციის მომსახურება. საფეხმავლო ბილიკების და სკვერების გველების საწინააღმდეგო დეზინფექცია.

- მიღწეული შედეგი:

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

ნაგავშიდი სპეც.მანქანებისა და სანაგვე ურნების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02)

- პროგრამის განმახორციელებელი:
ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
- პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16.7 ათასი ლარი, საკასო შესრულება 16.7 ათასი ლარი.
შესრულების პროცენტი 100%

- პროგრამის აღწერა:

დასუფთავების სერვისით მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მოცვისათვის საჭიროა შეიქმნა დამატებითი კონტეინერების შესყიდვა. აღნიშნული პროგრამით შესყიდული იქნა 30 ცალი სანაგვე კონტეინერი.

- მიღწეული შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზრდილია სანაგვე კონტეინერების რაოდენობა.

პრიორიტეტი: განათლება (კოდი 04 00)

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (კოდი 04 01 01)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **316.5** ათასი ლარი, საკასო შესრულება **330.0** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **95.9%**

- **პროგრამის აღწერა:**

2022 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონიძიებების განხორციელება 88 აღსაზრდელზე. სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით ბაკურიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ მოხდა აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ კურსის შესყიდვა და გადამზადდა 4 აღმზრდელი, 1 მუსიკის მასწავლებელი და 4 აღმზრდელის თანაშემწე. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვების ხარისხის ამაღლების მიზნით შემუშავდა სტანდარტით გათვალისწინებული პერსპექტიული მენიუები, ბავშვის კვების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მენიუები გამრავალფეროვანდა სხვადასხვა სახის ბოსტნეულით და სეზონური ხილით.

- **მიღწეული შედეგი:**

უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება. სასკოლოდ გადამზადებული ბავშვები.

ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ (კოდი 04 01 02)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **2 373.8** ათასი ლარი, საკასო შესრულება **2 351.9** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **99.1%**

- **პროგრამის აღწერა:**

2022 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონიძირებების განხორციელება 650 აღსაზრდელზე. სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მიერ მოხდა აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ კურსის შესყიდვა და გადამზადდა 27 აღმზრდელი, 10 მუსიკის მასწავლებელი და 5 აღმზრდელის თანაშემწე. განათლების სამინისტროს სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდის გაძლიერების მიზნით გადამზადდა 18 თანამშრომელი, აქედან 5 ფსიქოლოგი, 3 სპეც.პედაგოგი, 5 აღმზრდელ პედაგოგი და 1 აღმზრდელი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვების ხარისხის ამაღლების მიზნით შემუშავდა სტანდარტით გათვალისწინებული პერსპექტიული მენიუები, ბავშვის კვების ხარისხის გაუმჯობესებისთვის მენიუები გამრავალფეროვანდა რძის პროდუქტებით, სხვადასხვა სახის ბოსტნეულით და სეზონური ხილით. ბაღების ადმინისტრირების კუთხით მოხდა საბავშვო ბაღებში სამზარეულო ინვენტარის შექმნა, ასევე ორი ბაღისთვის შექმნილი იქნა ტელევიზორები, 4 საბავშვო ბაღისთვის მუსიკალური ცენტრები, ერთი საბავშვო ბაღისთვის ელექტრონული პიანინო, გაერთიანების ადმინისტრაციისთვის პრინტერები, ერთი პერსონალური კომპიუტერი მეთოდოთახისთვის, ასევე ორი დიდიბაღისთვის სპეციალური სამრეწველო ხორცის მანქანა, დვირის საბავშვო ბაღში შეიცვალა ცენტრალური გათბობის 2 ბოილერი, თერთმეტივე საბავშვო ბაღისთვის შეიქმნა საევაკუაციო გეგმები და შექმნილ იქნა ცეცხლმაქრები.

- **მიღწეული შედეგი:**

უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება. სასკოლოდ გადამზადებული ბავშვები.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (კოდი 04 01 03)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

მუნიციპალიტეტის მერია

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **334.0** ათასი ლარი, საკასო შესრულება **238.0** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **71.3%**

- **პროგრამის აღწერა:**

2022 წლის გეგმის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის (ENPARD III)“ ფარგლებში - ბორჯომის #3 და სოფ. დვირის საბავშვო ბაღის შენობებზე ქსელური ტიპის მზის ელ-სადგურების მოწოდებისა და მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახლადაბაში საბავშვო ბაღის შენობის ფასადის რეაბილიტაცია.

- **მიღწეული შედეგი:** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული ინფრასტრუქტურა.

საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება და რეაბილიტაცია (კოდი 04 02)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**
მუნიციპალიტეტის მერია
- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **195.3** ათასი ლარი, საკასო შესრულება **124.6** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **63.8%**

- **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა ახალდაბის სკოლის სახურავის რეაბილიტაცია და ტაბაწყურის სკოლის ფასადის პროექტის ღირებულება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება, მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების უახლოეს საგანმანათლებლო დაწესებულებამდე. სკოლების გამართული ინფრასტრუქტურა და საანგარიშო პერიოდში მოსწავლეების ტრანსპორტით გადაადგილების ხელშეწყობა.

მიღწეული შედეგი:

საჯარო სკოლების გამართული ინფრასტრუქტურა და საანგარიშო პერიოდში მოსწავლეების ტრანსპორტით გადაადგილების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება (კოდი 04 03)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ „ჩვენი ბორჯომისათვის“

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **64.0** ათასი ლარი, საკასო შესრულება **64.0** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **100%**

- **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ "ჩვენი ბორჯომისათვის"-თან არსებულ ბავშვთა და ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრის პროგრამის ფარგლებში შემეცნებით-შემოქმედებითი ბანაკების, ტრენინგების, ვორქშოპების, შემოქმედებითი კონფერენციების, ოლიმპიადების, ვიქტორინების, სპორტული ღონისძიებების, კონკურსების და ლექციების ჩატარება.

- **მიღწეული შედეგი:**

პროგრამის განხორციელების შედეგად მივიღებთ განათლებულ, სწავლასა და წინსვლაზე ორიენტირებულ ახალგაზრდა თაობას.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

მუნიციპალიტეტის მერია

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **1 423.9** ათასი ლარი, საკასო შესრულება **1 364.3** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი **95.8%**

- **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული პროგრამით განხორციელდა სპორტის ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება როგორცაა: უბნებისა და დაწესებულებების ჩემპიონატი ფეხბურთსა, ფრენბურთსა და

კალათბურთში. ასევე მოყვარულთა ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს. სპორტული ფესტივალი სპორტი ბარიერების გარეშე და სხვა. სპორტული მოედნების და გარე სავარჯიშო კომპლექტების მოწყობა/რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდა სარაგბო კლუბ „ტაო“-ს დაფინანსება.

- მიღწეული შედეგი:

მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა და უზრუნველყოფილია სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

ა(ა)იპ ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა (კოდი 05 01 01 01) საკასო ხარჯი 748.3 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 99.9% (გეგმა 749.2) აღნიშნული ქვეპროგრამით სასპორტო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტებულმა გუნდებმა იასპარეზეს 129-რესპუბლიკურ, რეგიონალურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე. მათ შორის: ძიუ-დოში-18, ბ/რ ჭიდაობაში-17, რაგბში-17, მძლეოსნობაში-10, კარატეში-3, კიკ-ბოქსინგში-9, მკლავჭიდში-5, კრივში-3, ჭადრაკში-4, კალათბურთში-5, სამთო-სათხილამურო-2, ფეხბურთში-36 შეხვედრა (სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში). გასულ წელს სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობის მაღალორგანიზებული სპორტული დონზე ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ძიუ-დოში, ბ/რ ჭიდაობაში. დაახლოებით სტადიონზე-გამართა სამცხე-ჯავახეთის საფეხბურთო ჩემპიონატის I-ტური. რესპუბლიკური ტურნირი „ქართულ ჭიდაობაში“. ჩატარდა ქალქის ღია პირველობა კალათბურთში, სარაგბო ფესტივალი (მოზარდებში) ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში, ჭადრაკში, კრივში, მკლავჭიდში და სხვა. 2022 წელს განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ჭადრაკის სექციის მოსწავლემ ბარბარე შონიამ, რომელმაც საბერძნეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დაიკავა III-ადგილი.

ა(ა)იპ ბორჯომი „ფეხბურთი 2013 „ (კოდი 05 01 01 02) საკასო ხარჯი 152.5 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 98.6% (გეგმა 154.7) აღნიშნული ქვეპროგრამით თანადაფინანსება გაეწია საფეხბურთო კლუბ „ბორჯომი 2013“-ს და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას.

სპორტული ღონისძიებები (კოდი 05 01 02) საკასო ხარჯი 172.7 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 90.1% (გეგმა 191.7 განხორციელდა ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება როგორცა; უბნებისა და დაწესებულებების ჩემპიონატი ფეხბურთსა, ფრენბურთსა და კალათბურთში. ასევე მოყვარულთა ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს. სპორტული ფესტივალი სპორტი ბარიერების გარეშე და სხვა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რეგიონული სარაგბო კლუბი "ტაო".

ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობა რეაბილიტაცია (კოდი 05 01 03) საკასო ხარჯი 290.9 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი 88.6% (გეგმა 328.3) აღნიშნული

ქვეპროგრამით განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.საკირეში და ქ.ბორჯომში მესხეთის ქ. #107-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა.

კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

- **პროგრამის განმახორციელებელი:**

მუნიციპალიტეტის მერია

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა **3 213.3** ათასი ლარი, საკასო შესრულება **2 900.6** ათასი ლარი. შესრულების პროცენტი - **90.7%**.

- **პროგრამის აღწერა:**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ახალგაზრდების ხელშეწყობა/დახმარება, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სპორტით დაკავებული ბავშვების, ახალგაზრდების და მათი მწვრთნელების, განათლების, ერუდიციის და კულტურის სფეროში წარმატებული მოსწავლეების და პედაგოგების დაჯილდოება, მათი წახალისება და მოტივაციის ამაღლების მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარება, ახალგაზრდული საჭიროებების, იდეებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში მოხდა კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.

- **მიღწეული შედეგი:**

მოხდა მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების ღონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.

მუსიკალური სკოლების დაფინანსება (კოდი 05 02 01 01) საკასო ხარჯი **400.0** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **99.8%** (გეგმა **400.9**) აღნიშნული ქვეპროგრამით სუბსიდირება გაეწია ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლას. სკოლაში 2022 წელს ირიცხებოდა **345** მოსწავლე, რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობდნენ და იმარჯვებდნენ საერთაშორისო, რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში და ფესტივალებში. 2022 წელს სკოლა დაამთავრა 30

მოსწავლემ და გაიცა შესაბამისი დამამთავრებელი მოწმობები. 2022 წელს სამუსიკო სკოლის ანსამბლ „ოქტავამ“ მონაწილეობა მიიღო ისრაელის ქ.ცფატში გამართულ გუნდების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში სადაც მოიპოვა პირველი საპრიზო ადგილი და ჯილდო.

საბიბლიოთეკო გაერთიანება (კოდი 05 02 01 02) საკასო ხარჯი **378.7** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **100 % (გეგმა 378.7)** აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდა: ბიბლიოთეკის მართვა-აღმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, ფონდების დაცვის უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა, მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით. კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა : ინტელექტუალური თამაშები „რა,სად,როდის?“. აღნიშნა: სახელმწიფო დროშის დღე, პოეტებისა და მწერლების საიუბილეო თარიღები; მოეწყო ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები; გაიმართა ახალი წიგნების პრეზენტაცია და ბესტსელერების განხილვა; საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები : ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. აღნიშნა „მადლიერების დღე“, მოხდა კონკურსის მონაწილეთა და წიგნის ქომაგების დაჯილდოება; მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. ქსელის ყველა ბიბლიოთეკაში გაიმართა სხვსდასხვა სახის თემატური საღამოები. გეგმის შესაბამისად გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდი.

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (კოდი 05 02 01 03) საკასო ხარჯი **701.1** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **82.4%** (გეგმა **851.2**) აღნიშნული ქვეპროგრამით მოხდა ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირება და მათ მიერ განხორციელდა სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებები. როგორც კ/ცენტრში, ასევე ცენტრს დაქვემდებარებულ სოფლის კლუბებში, მოსწავლე ახალგაზრდობისა და წაღვერის კ/სახლებში. განახლდა ინვენტარი, აპარატურა და გარდერობი. ჩატარდა კონცერტები ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული და საესტრადო სტუდიების მონაწილეობით. მოეწყო გამოფენები (ტიხრული მინანქარი, ხეზე კვეთა, ფერწერა, ხელნაკეთი თოჯინები) მოწვეული თეატრების მიერ წარმოდგენილ იქნა სპექტაკლები. ცენტრთან არსებული თეატრის მიერ წარმოდგენილია ახალი სპექტაკლები.

ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკი (კოდი 05 02 01 05) საკასო ხარჯი **349.2** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **99.8%** (გეგმა **350.0**) აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება პარკში მცენარეების განახლება, აგრეთვე განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა: კერძოდ ატრაქციონების შეკეთება ზაფხულის სეზონისთვის, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა. სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა ბორჯომის ცენტრალურ ისტორიულ პარკში მცენარეთა მოვლა, განახლება და დაცვა-კონსერვაცია.

ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები (კოდი 05 02 01 05) საკასო ხარჯი **180.5** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **77.7%** (გეგმა **232.3**) აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალთა დღეები, 9 აპრილი, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების დღე, გლოვის დღე აფხაზეთში, სოხუმის დაცემის დღე, ვეტერანთა დღე, გიორგი მთაწმინდელი - ათონელის ხსენების დღესასწაული მასშტაბური ღონისძიებები: ტურისტული სეზონის გახსნისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, „ბორჯომობა 2022“, მასწავლებლის საერთაშორისო დღე, „ზაფხულის საღამოები ბორჯომში“, კონცერტი „მრავალხმიანობის ზეიმი“, კონცერტი ჯაზ-კვინტეტი, შემეცნებითი ღონისძიება - ლექცია - სემინარი (ჯემალ ბაღაშვილი).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 05 02 03) საკასო ხარჯი **422.5** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **84.1%** (გეგმა **502.7**) აღნიშნული ქვეპროგრამით ქ.ბორჯომის ცენტრალურ-ისტორიულ პარკში განხორციელდა ხის საბავშვო ატრაქციონის (ციხესიმაგრე) მოწოდება მონტაჟი. წმინდა ნინოს ქუჩა N11-ში საბავშვო ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფ.ტაძრისში რიტუალების სახლის მე-2 სართულზე განთავსებული კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია. სუვენირების სავაჭრო ჯიხური - „წიგნი“-ს 8 ცალის შესყიდვა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 04) საკასო ხარჯი **285.0** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **100%** (გეგმა **285.0**) აღნიშნული ქვეპროგრამით მოხდა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიაში არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერა.

ახალგაზრდობის ხელშეწყობა (დახმარება) (კოდი 05 02 06) საკასო ხარჯი **183.6** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **90.6%** (გეგმა **202.6**) აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდა „ახალგაზრდული საჭიროებების, იდეებისა და ინიციატივების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებში დაფინანსდა: სახელოვნებო სკოლა და მოსწავლეთა ჯგუფის საინიციატივო იდეა -ახალგაზრდული სიმულაციური ორგანიზაცია „Netbox - ნეტბოქსი“; კულტურის, ხელოვნების, ერუდიციის, განათლების და სპორტის სფეროში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობა, მაღალი მოსწრების სტუდენტების (ბაკალავრი) ფინანსური დახმარება.

საინფორმაციო მომსახურება (კოდი 05 03) საკასო ხარჯი **77.0** ათასი ლარი, შესრულების პროცენტი **96.4%** (გეგმა **79.9**) აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. განხორციელდა ტელევიზიასთან და პრესასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც

საჯაროდ შუქდებოდა საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირები, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს.

პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი (06 01)

- **პროგრამის განმახორციელებელი**

მუნიციპალიტეტის მერია

- **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 175.4 ათასი ლარი, საკასო შესრულება 174.3 ათასი ლარი. შესრულების პროცენტი 99.4%

- **პროგრამის აღწერა:**

ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში განხორციელდა სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები. ეპიდრევენებით გათვალისწინებული დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლების მაქსიმალურ ზღვართან მიახლოება, სამედიცინო დაწესებულებების ლოჯისტიკის გაუმჯობესება, ცოფის ეპიზოტის აღკვეთა, ინფექციური და არაინფექციური დაავადებების შემთხვევათა შემცირება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების გადაყვანა, კასტრაცია, სტერილიზაცია, აცრები და დაბირკვა.

- **მიღწეული შედეგი:**

მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.

